

სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობაზე შეღავათის დაწესების პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები (რეგისტრირებული), სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახებისათვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის გადასახადზე (ღირებულება 0,40 ლარი) შეღავათის დაწესება.

მუხლი 2. სამიზნე ჯგუფი და პროგრამით მოსარგებლეთა შერჩევის წესი

1. მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობაზე შეღავათის დაწესების პროგრამით მოსარგებლე ჯგუფს წარმოადგენს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა 150 000-ს არ აჭარბებს და რომლებიც ქალაქ რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული არიან არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ).

2. მოსარგებლე პირთა შესაბამისობას განსაზღვრავს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ "სოციალური მომსახურების სააგენტოსა" და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ "სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს" მიერ მოწოდებული ბაზის საფუძველზე, პროგრამით დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით.

3. პროგრამით გათვალისწინებული მოსარგებლე პირთა რაოდენობა შეიძლება შეიცვალოს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ბაზებში შესული ცვლილებების საფუძველზე.

4. გამონაკლისი ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იმულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებზე, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ - ქალაქი რუსთავი.

მუხლი 3. პროგრამის განხორციელების პერიოდი

პროგრამის განხორციელების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 4. განხორციელების მექანიზმები

1. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურსა და სს "ლიბერთი ბანკს" გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად აწვდის ინფორმაციას პროგრამით მოსარგებლეთა შესახებ, რის შემდეგაც ბანკი უზრუნველყოფს მათთვის მგზავრობისათვის საჭირო ელექტრონული ბარათების (City Pass საგადამხდელო ბარათების) დამზადებასა და გადაცემას, რისი მეშვეობით ბენეფიციარებს შეეძლებათ 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით იმგზავრონ თვეში არაუმეტეს 60-ჯერ.

2. პროგრამით მოსარგებლეთა შესახებ ინფორმაცია განახლდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების

სააგენტოსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებულ ბაზებზე დაყრდნობით, რის შემდეგაც ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური სს "ლიბერთი ბანკიდან" მიღებული ინფორმაციის (მგზავრობის ტრანზაქციების რაოდენობის რეესტრი) დამუშავების შემდეგ ახორციელებს ანგარიშსწორებას შპს "რუსთავის მუნიციპალურ ავტოტრანსპორტის საწარმოსთან".

მუხლი 5. პროგრამის ბიუჯეტი

1.სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობაზე შეღავათის დაწესების პროგრამის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტი. პროგრამის ბიუჯეტია 230 000,00 (ორასოცდაათი ათასი ლარი და 00 თეთრი) ლარი, მათ შორის 2017 წლის დეკემბრის ხარჯი შეადგენს 8 336.00 (რვა ათას სამას ოცდათექვსმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს. პროგრამის ბიუჯეტი კვარტალურად გადანაწილებულია შემდეგნაირად:

ბიუჯეტი	230 000,00 ლარი
I კვარტალი	71 000,00 ლარი
II კვარტალი	53 000,00 ლარი
III კვარტალი	53 000,00 ლარი
IV კვარტალი	53 000,00 ლარი

2.პროგრამის მოსარგებლეთა რაოდენობა ყოველთვიურად შესაბამისობაში მოდის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებულ ბაზასთან. მოწოდებული ბაზის ყოველთვიური განახლების გამო ცვლილება შეიძლება შევიდეს პროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობაში, რაც გამოიწვევს ცვლილებას ანგარიშსწორებისას.

მუხლი 6. პროგრამის შედეგი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები (რეგისტრირებული) სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობაზე შეღავათის დაწესება.

მუხლი 7. პროგრამის შემდგენი და მის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური.

ნინო ქვირია

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური
მომსახურების სამსახურის ხელმძღვანელი